



ერთობლივი ეგზიტპოლი

„კოალიცია მედიის ადვოკატირებისათვის“, რომელიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კერძო ტელეკომპანიებთან “იმედი”, „მაესტრო“ და GDS ერთად საარჩევნო ეგზიტპოლის ჩატარების გადანყვეტილებას, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ მიიღო.

ამ გადანყვეტილებას ასევე ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოს რიგი წევრები, ასევე თანამშრომლები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. გადანყვეტილების მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტაცია იყო ის, რომ ეგზიტპოლში საზოგადოებრივი მაუწყებლის მონაწილეობამ სხვა კერძო ტელეკომპანიებთან ერთად შესაძლოა დააზარალოს მისი იმიჯი და დამოუკიდებლობა. სამეურვეო საბჭოს წევრების უმეტესობისათვის გადანყვეტილების მიღების პროცესში საკმარისი აღმოჩნდა იმ კომპანიის გამოცდილებისადმი დადებითი დამოკიდებულება და მის მიმართ ნდობა რომელმაც ეგზიტპოლები უნდა ჩატაროს.

მიუხედავად არგუმენტირებული წინააღმდეგობისა და გადანყვეტილების უარყოფითი მხარეების დასაბუთებული წარმოჩენისა, სამეურვეო საბჭომ მიღებული გადანყვეტილება არ შეცვალა. შესაბამისი ხელშეკრულება მაუწყებელმა უკვე გააფორმა „თი-ენ-ეს ოფინიონთან“, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი 8 ოქტომბრის არჩევნებზე კერძო კომპანიებთან ერთობლივად ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგებს წარუდგენს საზოგადოებას.